თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3711643

ნომერი: AR1558681

თარიღი : 17.11.2017

გაცემის თარიღი : 01.12.2017

გაცნობის თარიღი : 01.12.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , საქართველოს სამხედრო გზაზე, ბოტანიკის ინსტიტუტის მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- კახაბერ შარვაძე პ/ნ 41001001312
- თბილისი საირმის ქ. N 11 ბ. 18

ორგანიზაცია:
- შპს "სან პეტროლიუმ ჯორჯია" კოდი: 404391136

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება
  რეკონსტრუქცია
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი დიდუბე, საქართველოს სამხედრო გზაზე, ბოტანიკის ინსტიტუტის მიმდებარედ-ში, შპს „ჯორჯიან ენერჯი სოლუშენზ"-ის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (ნაკვ.N 015/050) საკადასტრო საზღვრებში მოქცეული შენობა/ნაგებობის ფასადზე სარეკლამო აბრების ცვლილებისა და შენობის ფასადზე I კლასის სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელებას. პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური.
,,მშენებლობის ნაბართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან - რეგ. N 882015533285, საკადასტრო კოდი: N 01.13.01.015.050; არსებული ფოტო და ფოტომონტაჟი) ქალაქ მშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი დიდუბე, საქართველოს სამხედრო გზაზე, ბოტანიკის ინსტიტუტის მიმდებარედ-ში, შპს „ჯორჯიან ენერჯი სოლუშენზ"-ის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (ნაკვ.N 015/050) საკადასტრო საზღვრებში მოქცეული შენობა/ნაგებობის ფასადზე სარეკლამო აბრების ცვლილებისა და შენობის ფასადზე I კლასის სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას.

აქვე გაითვალისწინეთ სარეკონსტრუქციო სამუშაოები საჭიროა განხორციელდეს უსაფრთხოების ნორმების დაცვით და უზრუნველყოფილ იქნას სარეკლამო აბრების კონსტრუქციული მდგრადობა.

აქვე გაცნობებთ, იმ შემთხვევაში თუ დამკვეთის მიერ განსახორციელებელი სამუშაოები ეხება შენობა-ნაგებობის მზიდ კონსტრუქციებს სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე დამკვეთმა უნდა მოიპოვოს შესაბამისი დასკვნა განსახორციელებელი სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.